დანართი 8ბ

გენდერული სამოქმედო გეგმა

კლიმატის მწვანე ფონდისთვის (GCF) წარდგენილი

პროექტისთვის

"საქართველოში სატყეო სექტორის რეფორმის განხორციელების ხელშეწყობა ტყის დეგრადაციით გამოწვეული სათბურის აირების ემისიების შემცირებისთვის"

განახლება: განახლდა 2021 წლის მაისში UNIQUE forestry and land use GmbH-ის მიერ, კომპონენტ 3-ში აქტივობებისა და ქვეაქტივობების დეტალური დაგეგმვის ასასახად

შესავალი

საქართველოს სოფლად მცხოვრები მოსახლეობა საარსებოდ მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ტყის რესურსებზე. ტყეები გამოიყენება შეშის და სამშენებლო მასალის მოპოვებისთვის, ნადირობისთვის, საკვების, კენკრისა და სამკურნალო მცენარეების შეგროვებისთვის, მეფუტკრეობისთვის, დასვენებისა და, გართობისთვის, ასევე რელიგიური მიზნებისთვის.

პროექტის დაგეგმვა ხშირად „მამაკაცურ ნორმებს" ეფუძნება და პროცესის მიღმა ტოვებს ქალებს, რომლებსაც ხშირად არასაკმარისი უნარები, რესურსები და დრო აქვთ, რომ ჩაერთონ გადაწყვეტილების მიღებაში. ქალების მონაწილეობა უზრუნველყოფს ქალების მიერ განხორციელებული საქმიანობის, მათი საჭიროებებისა და ინტერესების გააზრებას და საშუალებას იძლევა გამოყენებული იქნას მათი ცოდნა (IUCN, 2010).

შეთავაზებული პროექტის გენდერულმა შეფასებამ აჩვენა, რომ მიუხედავად იმისა, რომ კლიმატი და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა აისახება როგორც ქალებზე, ისე მამაკაცებზე, მათი ზემოქმედება ხშირად განსხვავებულია, ქალთა და მამაკაცთა განსხვავებული საჭიროებებისა და შესაძლებლობების გამო.

გენდერული სამოქმედო გეგმა შემუშავებულია იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი იქნას პროექტის მიერ:

- გენდერული უთანასწორობის შემცირება;
- ქალების, გოგონების, მამაკაცების და ბიჭების საჭიროებების და პრობლემების გათვალისწინება;
- უარყოფითი გენდერული ზემოქმედების ნებისმიერი რისკის თავიდან აცილება;
- ქალთა ჩართულობა, მათი ლიდერული თვისებების ხელშეწყობა;
- ქალების, როგორც დამგეგმავების, თანა-განმახორციელებლების და ცვლილებების მომტანთა მონაწილეობა;
- კლიმატის ცვლილების შედეგად გამწვავებულ სოციალურ, ეკონომიკურ და გარემოსდაცვით მოწყვლადობაში გენდერული უთანასწორობის შემცირების ხელშეწყობა.

სამიზნე ჯგუფები

პროექტის საქმიანობა მიმართული უნდა იყოს ხუთი ძირითადი სამიზნე ჯგუფისკენ, ესენია: ქალები, მამაკაცები, ახალგაზრდები, საგანმანათლებლო დაწესებულებები, პროექტის პერსონალი და შემსრულებელი ორგანიზაციების პერსონალი, და განმახორციელებელი პარტნიორები.

- ***მამაკაცები და ქალები***

  მამაკაცები და ქალები ქცევის განსხვავებულ მახასიათებლებს ავლენენ ტყესთან და ტყის პროდუქტებთან დაკავშირებულ საკითხებში. კაცები ტყეში გაცილებით უფრო ხშირად

დადიან, ვიდრე ქალები. ისინი ტყეში დადიან ხეების საჭრელად, სანადიროდ, პირუტყვის სამწყემსად და საკვები პროდუქტების შესაგროვებლად, ძირითადად, ეკონომიკური მიზნებისთვის; ქალები ტყეში არამერქნულ პროდუქტებს აგროვებენ, ძირითადად საოჯახო მოხმარებისთვის. ქალები საწვავი ხე-ტყის ძირითადი მომხმარებლები არიან, რადგან სახლში ისინი აკონტროლებენ შეშის გამოყენებას გასათბობად, საკვების მოსამზადებლად და წყლის გასაცხელებლად. გარდა ამისა, ქალები ცვლილებების საუკეთესო გამავრცელებლები არიან, რადგანაც მათ ეხებათ ბავშვების აღზრდა, როგორც კერძო გარემოში, ასევე სასწავლო დაწესებულებებში, სადაც წარმოადგენენ პერსონალის უდიდეს უმრავლესობას.

- ***ახალგაზრდობა*** მნიშვნელოვანი სამიზნე ჯგუფია, რადგან პროექტის გრძელვადიანი ზემოქმედება დამოკიდებულია მათზე, როგორც მომავალში გადაწყვეტილების მიმღებ ძალაზე.
- ***საგანმანათლებლო დაწესებულებები*** - ბავშვებთან და ახალგაზრდებთან, ასევე მასწავლებლებთან და აკადემიურ პერსონალთან კომუნიკაცია ყველაზე კარგად საგანმანათლებლო გარემოშია შესაძლებელი.
- ***პროექტის პერსონალი და შემსრულებელი ორგანიზაციების პერსონალი*** - დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებისთვის აუცილებელია პერსონალის გენდერული მგრძნობელობა და პროექტებში გენდერული საკითხების ინტეგრირება.

რესურსები

I. სამართლებრივი დებულებები მიზნად ისახავს ქალთა მონაწილეობის გაზრდას გადაწყვეტილებების მიღებაში. თვითმმართველობის შესახებ კანონში ჩამოთვლილია მოსახლეობის სამოქალაქო ჩართულობის ბევრი მექანიზმი, თუმცა ამ მექანიზმების დიდი ნაწილი პრაქტიკაში არ გამოიყენება. აღნიშნული მექანიზმების გამოყენება შესაძლებელია პროექტის ფარგლებში ქალთა და მამაკაცთა ჩართულობის გასაძლიერებლად.

II. ქალთა ოთახები, რომლებიც კახეთის რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტში არსებობს, და ქალთა საბჭოები შეიძლება გამოყენებული იქნას პროექტის საინფორმაციო ცენტრებად, და ტრენინგებისა დაშეხვედრებისთვის სივრცის უზრუნველსაყოფად.

III. სათემო ორგანიზაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები და ნებაყოფლობითი გაერთიანებები უზრუნველყოფენ ჩართულობისთვის ხელსაყრელ გარემოს, მათი მხარდაჭერა უნდა მოხდეს პროექტის აქტივობებით.

IV. პროექტის ფარგლებში, GIZ სრულ განაკვეთზე დაიქირავებს გარემოსდაცვითი და სოციალური გარანტიების + გენდერის (ESS+gender) ექსპერტს, რომელმაც უნდა იზრუნოს გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმის (ESMP) და გენდერული სამოქმედო გეგმის (GAP) შესრულებაზე, ასევე მოახდინოს დოკუმენტების, სტანდარტული საოპერაციო პროცედურების (SOP), პოლიტიკისა და რეგულაციების სკრინინგი გენდერული

მგრძნობელობის და გენდერული პასუხისმგებლობის კუთხით. ექსპერტს საკონსულტაციო მომსახურებებისთვის გამოეყოფა 18,000 ევროს ოდენობის ბიუჯეტი (დეტალები იხილეთ ქვემოთ, გენდერულ სამოქმედო გეგმაში). დამატებითი ბიუჯეტი უკვე ინტეგრირებულია პროექტის სხვადასხვა აქტივობებში (დეტალები იხილეთ ქვემოთ, გენდერულ სამოქმედო გეგმაში).

პარტნიორები

I. ეროვნული სატყეო სააგენტო, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტრო, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, სოფლის განვითარების სააგენტო და მუნიციპალიტეტები უნდა ჩაითვალოს პროექტის მთავარ პარტნიორ ორგანიზაციებად გენდერულ საკითხებში.

II. შეიძლება პროცესში ჩართულ იქნას საპატრიარქო - დაწესებულება, რომელიც მაღალი საზოგადოებრივი ნდობით სარგებლობს, გააჩნია ინტერესი და ცოდნა გარემოსდაცვით საკითხებში, ხელმძღვანელობს საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივ კოლეჯს.

III. გარემოსდაცვით და გენდერულ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები, როგორიცაა: CENN, რომელმაც შეიმუშავა საქართველოში რეკრეაციული ტყეების მართვის ინსტიტუციური მოდელი და სამოქმედო გეგმა; აქვს გამოცდილება კახეთის რეგიონში სოფლის ქალთა საბჭოების ორგანიზებაში; ატარებს ახალგაზრდა თაობაზე ორიენტირებულ სხვადასხვა ღონისძიებებს, მაგალითად, ნიკო კეცხოველის კონკურსი. NACRES, რომელმაც შეადგინა ეკოტურიზმის განვითარების სამოქმედო გეგმა ბორჯომის ტყეებისთვის; TASO მუშაობს ქალთა საკითხებზე და ხელმძღვანელობს სოფლის ქალთა ჯგუფებს გურიაში. ”ქალები მშვიდობისთვის”, თბილისში დაფუძნებული არასამთავრობო ორგანიზაცია, დედოფლისწყაროში ატარებს ღონისძიებებს, რომლებიც მიზნად ისახავს ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლას.

IV. მედია, განსაკუთრებით ტელევიზია, ინტერნეტი და რადიო, გამოყენებული უნდა იქნას ცნობიერების ამაღლების კამპანიებისთვის. ხელი უნდა შეეწყოს ასევე სოციალური მედიის გამოყენებას.

პროექტის კონკრეტული გენდერული სამოქმედო გეგმა მოცემულია ქვემოთ:

აქტივობა	ქმედებები და ამოცანები	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება/ორგანიზაცია და რესურსები
შედეგი 1: ტყის მდგრადი მართვა			
1.1. ტყის მდგრადი მართვის გეგმების შემუშავება და განხორციელება გურიაში, კახეთსა და მცხეთა-მთიანეთში	• ქალები აქტიურად მონაწილეობენ ტყის მართვის გეგმებთან დაკავშირებული დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში. ადგილობრივ თემებთან კონსულტაციის პროცესებში ქალები უნდა შეადგენდენ მონაწილეთა მინიმუმ 30%-ს (კრიტიკული მასა) ან საუკეთესო შემთხვევაში 50%-ს, რაც ასახავს სამიზნე მუნიციპალიტეტის გენდერულ შემადგენლობას • მუნიციპალიტეტების საბჭოებთან მუშაობისას უზრუნველყოფილი იქნას ყველა არჩეული ქალი წარმომადგენლის ჩართვა და აქტიური მონაწილეობა, ასევე მათთვის სალაპარაკო დროისა და სივრცის დათმობა (თუ გავითვალისწინებთ მათ ისედაც მცირე რაოდენობას - 12,7%) • გენდერის ექსპერტი გადახედავს ტყის მართვის გეგმებს და ბიზნეს გეგმებს, რათა უზრუნველყოს, რომ ეს გეგმები გენდერულად მგრძნობიარე და პასუხისმგებლიანია და თანაბრად ასახავს ქალთა და მამაკაცთა მიერ ტრადიციულად გამოყენებად სფეროებს • მუნიციპალიტეტის გენდერულ საკითხებზე პასუხისმგებელი პირის (Focal Point) ჩართვა ყველა პროცესში, გენდერულ საკითხებზე პასუხისმგებელი პირების საჭიროებების შეფასება, ტყის მდგრადი მართვის გენდერული სპეციფიკის საკითხების თვალსაზრისით.	ტყის მართვის გეგმის და ბიზნეს გეგმის შემუშავების კონსულტაციებში მონაწილეთა მინიმუმ 30% ქალია. საწყისი: 0% სამიზნე: 30% (მე-4 კვარტალი, მე-2 წელი) ტყის მართვის გეგმებისა და ბიზნეს გეგმების 100%, მინიმუმ გენდერულად მგრძნობიარეა ან, საუკეთესო შემთხვევაში გენდერულად პასუხისმგებლიანია, საჭიროების შემთხვევაში. საწყისი: 0% სამიზნე: 100% (მე-4 კვარტალი, მე-2 წელი) ტყესთან დაკავშირებულ საკითხებზე დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციებისას მუნიციპალიტეტების საბჭოების ყველა ქალი წარმომადგენლისა და გენდერულ საკითხებზე პასუხისმგებელი ყველა პირის მოწვევა ხდება (ტყის მართვის გეგმის შემუშავება, ბიზნეს გეგმის შემუშავება, დაინტერესებულ მხარეთა რეგულარული კონსულტაციები,	<u>პასუხისმგებელი</u>: გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (MoEPA), ეროვნული სატყეო სააგენტო (NFA) <u>რესურსები:</u> GIZ-ის გარემოსდაცვითი და სოციალური გარანტიების (ESS)+ გენდერის ექსპერტი

		კონფლიქტების მოგვარების შეხვედრები) საწყისი: არცერთი სამიზნე: ყველა[1] (ტყის მართვის გეგმა, ბიზნეს გეგმა: მე-4 კვარტალი, მე-2 წელი; სხვა შეხვედრები: მიმდინარე წელი 1-7)	
1.2. ტყეზე ზედამხედველობის გაძლიერება	• გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის (DES) ტრენინგების საერთო სისტემა მოიცავს დეპარტამენტის პერსონალის სწავლების ერთ კომპონენტს გენდერული თანასწორობის შესახებ და ტყის სექტორში არსებულ სპეციფიკას. • გენდერის ექსპერტი გადახედავს სტანდარტულ საოპერაციო პროცედურებს და ტრენინგის მოდულებს, რათა უზრუნველყოს, რომ ისინი გენდერულად მგრძნობიარეა ენისა და შინაარსის თვალსაზრისით • გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ტრენერების სწავლება ხდება გენდერულად თანასწორ და გენდერულად მგრძნობიარე ტრენინგსა და მართვაში • ქალი ტყის პატრულებისა და ინსპექტორების დაქირავების წახალისება	DES-ის ნაწილში გენდერული თანასწორობის შესახებ ტრენინგის ერთი მოდული ინტეგრირებულია ცოდნის მართვისა და ტრენინგის პლატფორმაში საწყისი: 0 ტრენინგის მოდული სამიზნე: 1 ტრენინგის მოდული (მე-3 კვარტალი, მე-2 წელი) DES-ის ტრენერებისთვის ჩატარებულია ერთი ტრენინგი გენდერულად თანასწორი და მგრძნობიარე ტრენინგის და მართვის თემაზე საწყისი: 0 ტრენინგი სამიზნე: 1 ტრენინგი (მე-3 კვარტალი, მე-2 წელი)	<u>პასუხისმგებელი:</u> DES <u>რესურსები:</u> GIZ ESS+გენდერის ექსპერტი 4,000 ევრო გარე ექსპერტის მიერ მოდულის შემუშავებისთვის
1.3. ეროვნული სატყეო სააგენტოს (NFA) მიერ მდგრად წარმოებული საწავავი ხე-ტყის უზრუნველყოფა	• ქალებისთვის საწვავი ხე-ტყის მიწოდების სისტემის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, განსაკუთრებით იმ ოჯახებისთვის, რომლებსაც ქალები ხელმძღვანელობენ. ხელმისაწვდომობის შესამოწმებლად შესაბამისი მონიტორინგის სისტემის შექმნა. • მოხდება სტანდარტული საოპერაციო პროცედურების (SOPs) გადახედვა გენდერის ექსპერტის მიერ, რათა უზრუნველყოფილი იქნას, რომ ისინი გენდერულად მგრძნობიარეა და გენდერული პასუხისმგებლობის მონიტორინგის შესაძლებლობას იძლევა.	სამიზნე რეგიონებში, 70% იმ ოჯახებისა, რომლებსაც ქალები ხელმძღვანელობენ აცხადებს, რომ მათ მარტივი წვდომა აქვთ საწავავ ხე-ტყეზე, ახალი სისტემის მეშვეობით (გამოკითხვა განხორციელდა ოჯახებში რეგულარული ვიზიტებისას 2.3 აქტივობის ფარგლებში - "ცნობიერების ამაღლება ადგილობრივი საინფორმაციო ცენტრებისა და საკონსულტაციო მომსახურების მეშვეობით")	<u>პასუხისმგებელი:</u> NFA, MoEPA) <u>რესურსი:</u> GIZ ESS+გენდერის ექსპერტი 4,000 ევრო ხელმისაწვდომობის კონცეფციის შესამუშავებლად

[1] გათვლა შეუძლებელია, რადგან მუნიციპალიტეტების საბჭოების ქალი წარმომადგენლების რაოდენობა შეიძლება შეიცვალოს არჩევნების შედეგად

	• ეროვნული სატყეო სააგენტოს წახალისება, საწვავი ხე-ტყის და მერქნის მარკეტინგში ქალების დასაქმებაში.	საწყისი: 0% სამიზნე: 70% (მე-4 კვარტალი, მე-4 წელი) საქმიანი ეზოების ყველა სტანდარტული სამუშაო პროცედურა შემოწმებულია გენდერის ექსპერტის მიერ. საწყისი: არცერთი სამიზნე: ყველა (1-ლი კვარტალი, მე-2 წელი)	(როგორც საქმიანი ეზოებისთვის სტანდარტული სამუშაო პროცედურების შემუშავებისთვის საერთაშორისო ექსპერტთა საკონსულტაციო ხელშეკრულების ნაწილი, პროექტის ქვე-აქტივობა 1.3.1)
1.4. ქვეყნის მასშტაბით ეკოსისტემაზე დაფუძნებული ტყის მდგრადი მართვის დანერგვისთვის გარემოს გაუმჯობესება	• გენდერის ექსპერტი გადახედავს შეცვლილ პოლიტიკასა და რეგულაციებს, რათა უზრუნველყოს, რომ ისინი გენდერულად მგრძნობიარე და თანასწორია • ცოდნის მართვისა და ტრენინგის პლატფორმაზე არსებული ყველა სასწავლო მასალა გადაიხედება გენდერის ექსპერტის მიერ, რათა უზრუნველყოფილი იქნას, რომ ისინი გენდერულად მგრძნობიარეა ენისა და შინაარსის თვალსაზრისით. • MoEPA-ს, NFA-ს და DES-ის ცოდნის მართვისა და ინფორმაციის პლატფორმები მოიცავს მასალებს გენდერთან დაკავშირებულ საკითხებზე, ტყის მდგრადი მართვისა და მასთან დაკავშირებული თემების თვალსაზრისით, მაგ. ტყისა და საწვავის გენდერულად განსხვავებული გამოყენება, გენდერულად განსხვავებული გამოყენების მიზეზები / დინამიკა და ა.შ. • პროფესიული განათლების კოლეჯების პროფესიული განათლების ტრენინგებში შეტანილია ერთი სალექციო მოდული ტყის მართვაში გენდერული საკითხების შესახებ და მთლიან სასწავლო გეგმაში სათანადოდ უზრუნველყოფილია გენდერული მეინსტრიმინგი.	პროექტის მიერ მხარდაჭერილი პოლიტიკის და რეგულაციების 100% გენდერულად მგრძნობიარეა. საწყისი: 0% სამიზნე: 100% (მე-4 კვარტალი, მე-3 წელი) ცოდნის მართვისა და ინფორმაციის პლატფორმის ყველა სასწავლო მასალა გენდერულად მგრძნობიარეა. საწყისი: არცერთი სამიზნე: ყველა (მე-4 კვარტალი, მე-6 წელი) MoEPA-ს, NFA-ს (პლუს სატყეო სექტორის კერძო კომპანიები) DES-ს სასწავლო მოდულების თითოეულ კლასში შეტანილია გენდერული კომპონენტი. საწყისი: არცერთი გენდერული კომპონენტი	<u>პასუხისმგებელი:</u> MoEPA, NFA, DES, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი (EIEC) <u>რესურსები:</u> GIZ ESS+გენდერის ექსპერტი 10,000 ევრო ტრენინგის მოდულების და ლექციების შემუშავებისთვის საერთაშორისო / ადგილობრივი ექსპერტების მიერ

	• ქალთა წახალისება, რომ მონაწილეობა მიიღონ პროფესიული განათლების კოლეჯების კურსებში ტყის მართვის შესახებ	სამიზნე: 3 გენდერული კომპონენტი (მე-4 კვარტალი, მე-3 წელი) ლექცია გენდერის შესახებ ინტეგრირებულია სასწავლო გეგმებში ოთხი პროფესიული კოლეჯის მიერ, რომლებიც სთავაზობენ კურსებს ტყის მართვაში. საწყისი: არცერთი ლექცია გენდერულ საკითხებზე სამიზნე: 1 გენდერული კომპონენტი თითოეულ სასწავლო გეგმაში (მე-4 კვარტალი, მე-3 წელი)	
1.5. სატყეო სექტორისთვის მონიტორინგისა და აღრიცხვის, ანგარიშგებისა და ვერიფიკაციის (MRV) სისტემების გაუმჯობესება	ქალების ხელშეწყობა, დასაქმდნენ ტყის საინფორმაციო და მართვის სისტემის (FIMS) ოპერატორებად. FIMS-ის მიერ გენდერულად მონაცემების შეგროვების და გენდერული პასუხისმგებლობის მონიტორინგის (საჭიროების შემთხვევაში) უზრუნველყოფა სატყეო სექტორში.	FIMS-ის კონცეფციაში ინტეგრირებულია გენდერულად ჩაშლილი მონაცემების შეგროვების ფუნქცია/არჩევანი. საწყისი: არ არის არჩევანი სამიზნე: არჩევანი ინტეგრირებულია (მე-4 კვარტალი, მე-3 წელი)	<u>პასუხისმგებელი</u>: EIEC <u>რესურსები:</u> GIZ ESS+გენდერის ექსპერტი FIMS-ის შემუშავებაში ჩართული საერთაშორისო ექსპერტები ამ ასპექტს ითვალისწინებენ თავიანთ კონტრაქტებში 1.5.1 ქვე-აქტივობის ფარგლებში

აქტივობა	ქმედებები და ამოცანები	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება/ორგანიზაცია
შედეგი 2: ბაზრის განვითარება ენერგოეფექტურობის და ალტერნატიული საწვავისთვის			
2.1. ენერგოეფექტურობის და ალტერნატიული საწვავის მიწოდების ჯაჭვის განვითარება	• ენერგოეფექტურობის და ალტერნატიული საწვავის მიწოდების ჯაჭვში ქალი მეწარმეების მონაწილეობის წახალისება • შესაძლებელია უსაფრთხო სივრცის სახით მუნიციპალიტეტებში არსებული ქალთა ოთახების გამოყენება ან / და აღდგენა დამატებითი ქალთა ტრენინგებისა და საწვრთნელი სესიების ჩასატარებლად. • ტრენერთა ტრენინგი სპეციალურად ქალებისთვის, ქალთა მიერ ქალების დატრენინგების მიზნით, და ასევე ქალებისთვის დამატებითი შემოსავლის გამომუშავებისა და შერეული გენდერული ჯგუფის ინსტრუქტორის პოზიციის დაკავების შესაძლებლობის შესაქმნელად, და ამით სტერეოტიპების დასაძლევად. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ქალთა კოოპერატივებს. • ქალთა კოოპერატივების ხელშეწყობა ალტერნატიული საწვავის წარმოებისთვის ნედლეულის მიწოდების ჯაჭვში • ენერგოეფეტური საშუალებებისა და ალტერნატიული საწვავის არსებული და ახალი მწარმოებლების იდენტიფიცირებისას, აუცილებელია, ქალთა, როგორც აქტივების მფლობელთა სათანადო რეპრეზენტაცია.	ენერგოეფექტურობის და ალტერნატიული საწვავის მიწოდების ჯაჭვის დაინტერესებული მხარეების სულ მცირე 30% ქალია. საწყისი: 0% სამიზნე: 30% (მე-4 კვარტალი, მე-2 წელი)	<u>პასუხისმგებელი</u>: სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო (ARDA) <u>რესურსები:</u> GIZ ESS+გენდერის ექსპერტი

2.2. მომხმარებელთა დაფინანსების ინსტრუმენტების დანერგვა ენერგოეფექტურობისა და ალტერნატიული საწვავის გამოყენებისთვის	• ქალები უნდა იყვნენ მთავარი სამიზნე ჯგუფი, როგორც ოჯახის მთავარი მომვლელები და შეშის ძირითადი განმკარგავები. • ღუმელების დაფინანსების სქემების გენდერული ზემოქმედების შეფასება, ქალებისთვის სესხების და მიკრო კრედიტების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით იმ ოჯახებისთვის, რომლებსაც ქალები ხელმძღვანელობენ და მარტოხელა მშობლებისთვის. • ფინანსური წიგნიერების გაძლიერება სამიზნე რეგიონებსა და მუნიციპალიტეტებში, შესაბამისი აქტივობების (მაგ. ფინანსური წიგნიერების სემინარი ქალთა საერთაშორისო დღის კონტექსტში) შეტანა მუნიციპალიტეტების სამოქმედო გეგმებში, გენდერული საბჭოების და გენდერულ საკითხებზე პასუხისმგებელი პირების (Focal Point) დახმარებით. მუნიციპალიტეტებში არსებული ქალთა ოთახების გამოყენება შესაბამისი აქტივობებისთვის (პროექტის 2.3 აქტივობის - „ცნობიერების ამაღლება და საკონსულტაციო მომსახურება" - შემადგენელი ნაწილი). • მას შემდეგ, რაც მოხდება ფინანსური ინსტიტუტების იდენტიფიცირება, რომლებიც სესხებს გასცემენ ენერგოეფექტური ღუმელებისთვის ან / და ალტერნატიული საწვავისთვის, საჭიროების შემთხვევაში მათ უნდა ჩაუტარდეთ გენდერ-სპეციფიკური კონსულტაცია.	ვაუჩერების პროგრამის ბენეფიციარების მინიმუმ 25%[2] -ს შეადგენს ოჯახები, რომლებსაც ხელმძღვანელობენ ქალები. საწყისი: 0% სამიზნე: 25% (მე-4 კვარტალი, მე-6 წელი) ჩატარებულია გენდერული ზემოქმედების შეფასება საწყისი: 0 ზემოქმედების შეფასება სამიზნე: 1 ზემოქმედების შეფასება (მე-4 კვარტალი, 1-ლი წელი) ფინანსური წიგნიერების მინიმუმ 1 ღონისძიება (ტრენინგები, საინფორმაციო შეხვედრები და ა.შ.) ჩატარებულია სამივე სამიზნე რეგიონში (ორგანიზებულია პროექტის 2.3 აქტივობის განმახორციელებელი პარტნიორის მერ) საწყისი: 0 სამიზნე: 3 (მე-4 კვარტალი, მე-2 წელი)	<u>პასუხისმგებელი:</u> ARDA, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი და სხვა (მიკრო)-საფინანსო ორგანიზაციები რესურსები: GIZ ESS+გენდერის ექსპერტი 4,000 ევრო ადგილობრივი კონსულტანტის მიერ ზემოქმედების შეფასების ჩასატარებლად ფინანსური წიგნიერების ღონისძიებების ხარჯები (2,000 ევრო თითოეულ ღონისძიებაზე) შეტანილია ბიუჯეტში ცნობიერების ამაღლების ნაწილში, აქტივობა 2.3

[2] იმ ოჯახების საშუალო რაოდენობა, რომლებსაც ქალები ხელმძღვანელობენ საქართველოში 39%-ს შეადგენს. საქალაქო დასახლებებში ეს მაჩვენებელი უფრო მაღალია, ვიდრე სოფლად. ვაუჩერების პროგრამა გამიზნულია სოფლებისთვის, ამიტომ კონსერვატიული მიდგომაა გამოყენებული

2.3. მომხმარებელთა ინფორმირება სატყეო სექტორის რეფორმის შესახებ, ენერგოეფექტური - ალტერნატიული საწვავის გადაწყვეტების შესახებ და საწვავი ხე-ტყის მომხმარებლებისთვის ტექნიკური საკონსულტაციო მომსახურების გაწევა	• სატყეო სექტორის რეფორმის ადგილობრივმა საინფორმაციო პუნქტებმა და მუნიციპალიტეტის გენდერულ საკითხებზე პასუხისმგებელმა პირებმა უნდა ჩამოაყალიბონ სამუშაო ურთიერთობები ინფორმაციის მიწოდების უზრუნველსაყოფად და ქალებისთვის ხმის მისაწვდენად • ქალთა ორგანიზაციის მიერ ორგანიზებული და წარმართული ინტერესთა დამცველი და საინფორმაციო კამპანიები, ქალთა ხილვადობის გაზრდისთვის და ენერგოეფექტური საშუალებების / ალტერნატიული საწვავის წარმატებით დანერგვაში ქალების წამყვანის როლის შესახებ საზოგადოებაში ცოდნის გავრცელებისთვის. • ენერგოეფექტურობის / ალტერნატიული საწვავის თემატიკის საკონსულტაციო მომსახურება განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა ამახვილებდეს ოჯახებზე, რომლებსაც ხელმძღვანელობენ ქალები და მოწყვლად ოჯახებზე • ყველა საინფორმაციო და საგანმანათლებლო მასალა მომზადებულია გენდერული მეინსტრიმინგით • ეროვნულ კამპანიებში უზრუნველყოფილია გენდერული მეინსტრიმინგი.	ოჯახების 25%[3]-ს, სადაც განხორციელდა ადგილობრივი საინფორმაციო ცენტრების ტექნიკური მრჩევლების ვიზიტები, ხელმძღვანელობენ ქალები. საწყისი: 0% სამიზნე: 25% (მე-4 კვარტალი, მე-5 წელი) 3 სამიზნე რეგიონში ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები ხორციელდება სულ მცირე 2 ქალთა ორგანიზაციის მონაწილეობით საწყისი: 0 სამიზნე: 2 (მე-4 კვარტალი, მე-2 წელი) EIEC-ის მიერ განხორციელებულ ეროვნულ კამპანიაში უზრუნველყოფილია გენდერული მეინსტრიმინგი. საწყისი: 0 კამპანია გენდერული მეინსტრიმინგით სამიზნე: 1 კამპანია გენდერული მეინსტრიმინგით (მე-4 კვარტალი, მე-3 წელი)	<u>პასუხისმგებელი:</u> GIZ, EIEC, კონტრაქტორი არასამთავრობო ორგანიზაცია (ორგანიზაციები) <u>რესურსები:</u> GIZ ESS+გენდერის ექსპერტი

[3] იმ ოჯახების საშუალო რაოდენობა, რომლებსაც ქალები ხელმძღვანელობენ საქართველოში 39%-ს შეადგენს. საქალაქო დასახლებებში ეს მაჩვენებელი უფრო მაღალია, ვიდრე სოფლად. ვაუჩერების პროგრამა გამიზნულია სოფლებისთვის, ამიტომ კონსერვატიული მიდგომაა გამოყენებული

2.4. ენერგოეფექტურობის - ალტერნატიული საწვავის სექტორის ხელშემწყობი პოლიტიკა და რეგულაციები	• გენდერის ექსპერტმა უნდა გადახედოს განახლებულ პოლიტიკასა და რეგულაციებს, რათა უზრუნველყოფილი იქნას მათი გენდერული მგრძნობელობა და გენდერული თანასწორობა	პროექტის მიერ მხარდაჭერილი პოლიტიკის და რეგულაციების 100% გენდერულად მგრძნობიარეა. საწყისი: 0% სამიზნე: 100% (მე-4 კვარტალი, მე-3 წელი)	<u>პასუხისმგებელი:</u> ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, MoEPA <u>რესურსები:</u> GIZ ESS+გენდერის ექსპერტი

აქტივობა	**ქმედებები და ამოცანები**	**ინდიკატორები**	**პასუხისმგებელი უწყება/ორგანიზაცია და რესურსები**
კომპონენტი 3: შემოსავლის წყაროები და ადგილობრივი თვითმმართველობა ტყის მართვაში			
3.1. შემუშავებული და დანერგილია მუნიციპალიტეტის დონის ინსტრუმენტები, პრაქტიკა, გეგმები და საჭირო შესაძლებლობები ჩართულობითი ტყის	• უზრუნველყოფილი იქნას, რომ ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების გადაცემის სახელმძღვანელო დოკუმენტის პროექტი გენდერულად მგრძნობიარე იყოს.	ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების გადაცემის სახელმძღვანელო დოკუმენტის პროექტი შემოწმებულია გენდერის სპეციალისტის მიერ. *საწყისი: არ არის* *სამიზნე: არის*	<u>პასუხისმგებელი:</u> MoEPA, NFA, მუნიციპალიტეტები <u>რესურსები:</u> GIZ ESS+გენდერის ექსპერტი

მდგრადი მართვისა და კონსერვაციისთვის	• ხელშეწყობილი იქნას, რომ (1) მუნიციპალური ტყის მართვის განაცხადის განხორციელებადობის კვლევები, (2) მუნიციპალური ტყის მართვის ინსტიტუციური, სამართლებრივი და მარეგულირებელი ჩარჩოს შემუშავება და (3) ეროვნული და მუნიციპალური დონის გადაწყვეტილების მიმღებთათვის მუნიციპალური ტყის მართვის ინსტრუმენტთა ნაკრების შემუშავება იყოს გენდერულად მგრძნობიარე და მოიცავდეს ქალთა საჭიროებებსა და ინტერესებს.	მუნიციპალური ტყის მართვის გენდერულად მგრძნობიარე ინსტრუმენტთა ნაკრები ეროვნული და მუნიციპალური დონის გადაწყვეტილების მიმღებთათვის, ხარჯ-სარგებლის ანალიზით (CBA), ადგილობრივი შესაძლებლობებისა და წინაპირობების ანალიზით, ასევე ინსტიტუციური მოწყობის ვარიანტებით, შემუშავებულია ერთობლივად MEPA-სა და სამიზნე მუნიციპალიტეტებთან ერთად, და შემოწმებულია გენდერის სპეციალისტის მიერ. *საწყისი: 0%* *სამიზნე: 100%*	
	• მუნიციპალური პერსონალის ტრენინგი მუნიციპალური ტყის მართვაზე და მასთან დაკავშირებულ თემებზე უნდა მოიცავდეს საუკეთესო პრაქტიკას ადგილობრივი ურთიერთობებისთვის, ასევე გენდერული თანასწორობისა და სოციალური ჩართულობისთვის. ტრენინგის მასალები უნდა გადაიხედოს გენდერის სპეციალისტის მიერ, რომელმაც ასევე უნდა უზრუნველყოს მიზნობრივი მასალები გენდერული თანასწორობისა და სოციალური ჩართულობის შესახებ.	სამ სამიზნე რეგიონში ადგილობრივი ურთიერთობების, ასევე გენდერული თანასწორობისა და სოციალური ჩართულობის საუკეთესო პრაქტიკაში გადამზადებული მუნიციპალური პერსონალის რაოდენობა საწყისი: 0 სამიზნე: 16	

	• მოხდეს ხელშეწყობა, რომ მუნიციპალურ დონეზე განხორციელებული ცნობიერების ამაღლებისა და შესაძლებლობების გაძლიერების ღონისძიებები იყოს გენდერულად მგრძნობიარე და ანგარიშს უწევდეს ქალთა საჭიროებებსა და ინტერესებს. უზრუნველყოფილი იქნას სპეციფიკური კომუნიკაცია მუნიციპალური დონის ქალთა ოთახებთან.	2.3-ის მე-2 ინდიკატორის მსგავსად: 3 სამიზნე რეგიონში ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები ხორციელდება სულ მცირე 2 ქალთა ორგანიზაციის მონაწილეობით *საწყისი: 0* სამიზნე: 2 1.1-ის 1-ლი ინდიკატორის მსგავსად: ტყესთან დაკავშირებულ საკითხებზე (ტყის მართვის გეგმის შემუშავება, ბიზნეს გეგმის შემუშავება, დაინტერესებულ მხარეთა რეგულარული კონსულტაციები, კონფლიქტების მოგვარების შეხვედრები) დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციებისას მუნიციპალიტეტების საბჭოების ყველა ქალი წარმომადგენლისა და გენდერულ საკითხებზე პასუხისმგებელი ყველა პირის მოწვევა ხდება *საწყისი: არცერთი* *სამიზნე: ყველა[4] (ტყის მართვის გეგმა / ბიზნეს გეგმა: მე-2 წლის მე-4 კვარტალი; სხვა შეხვედრები: მიმდინარე წელი 1-7)*	

[4] რაოდენობრივი დადგენა შეუძლებელია, ვინაიდან არჩევნების გამო შესაძლოა შეიცვალოს მუნიციპალიტეტის საბჭოებში ქალ წარმომადგენელთა რაოდენობა

3.2: შემუშავებული, ხელშეწყობილი და გამოცდილია ადგილობრივი დონის მექანიზმები უარყოფით ზემოქმედებას დაქვემდებარებული დაინტერესებული მხარეების ინტერესების უკეთესად დასააცვად	• შემუშავებული, ხელშეწყობილი და გამოცდილია გენდერულად მგრძნობიარე და ინკლუზიური ტყის მართვის გეგმების შემუშავებაში და შესაბამისი სარგებლის სამართლიან განაწილებაში ადგილობრივი ტყითმოსარგებლეების ეფექტური მონაწილეობის მექანიზმი. ამ მექანიზმის დანერგვისას განსაკუთრებული ძალისხმევა უნდა იყოს მიმართული ქალების ინტეგრირებაზე (მათი წარმომადგენლობის უზრუნველყოფა, შესაძლებლობების გაძლიერება და ტყის მართვის გეგმებში ქალებისთვის სასარგებლო აქტივობების ინტეგრირებისა და განხორციელების უზრუნველყოფა).	სამიზნე მუნიციპალიტეტებში ტყის მონაწილეობითი მართვის დაგეგმვასა და განხორციელებაში, შემუშავებული მექანიზმის მეშვეობით მონაწილე ქალ ბენეფიციართა რაოდენობა *საწყისი: 0* *სამიზნე: სულ მცირე 30%*	<u>პასუხისმგებელი:</u> MoEPA, NFA და DES <u>რესურსები:</u> GIZ ESS + გენდერის ექსპერტი *გენდერის დამატებითი კონსულტანტები, გენდერულად მგრძნობიარე სარგებლის განაწილების მექანიზმის და საჩივრების მექანიზმის შემუშავების და ამასთან დაკავშირებული ტრენინგების ხელშესაწყობად. ხარჯები შედის აქტივობა 3.2-ის ბიუჯეტში.*
	• მოხდეს ტყის მონაწილეობითი მართვის ტრენინგებში ქალთა მონაწილეობის კვოტების შემოღება.	ტყის მონაწილეობითი დაგეგმვისა და მართვის ტრენინგებში / სამუშაო შეხვედრებში ქალთა მონაწილეობის წილი *საწყისი: 0%* *სამიზნე: 30%*	
	• უზრუნველყოფილი იქნას გენდერულად სენსიტიური ტრენინგი და ტექნიკური კონსულტაცია სოციალური გარანტიების მონაწილეობითი დაგეგმვისა და განხორციელებისთვის (მათ შორის გენდერული და სოციალური ინკლუზია, როგორც თანამკვეთი თემა), მათ შორის მუნიციპალური ხელისუფლებისთვის, NFA-ის რეგიონული პერსონალისთვის (ტრეინინგი DES-ისთვის, რომელიც შედის 1.2-ში). შემუშავდეს საუკეთესო პრაქტიკის სახელმძღვანელო პრინციპები ასეთი პროცესების მხარდასაჭერისთვის პროექტის აღმასრულებელ სუბიექტებთან, ადგილობრივი	გენდერის სპეციალისტის მიერ ტრენინგებში შეტანილია გენდერული და სოციალური ინკლუზია. *საწყისი: არ არის* *სამიზნე: არის*	

	ხელისუფლების ორგანოებთან და ადგილობრივ ტყითმოსარგებლეებთან. • განისაზღვროს სარგებლის განაწილებისა და სოციალური რისკების მართვის პოტენციური მექანიზმები ქალების და სხვა მოწყვლადი ჯგუფების განსაკუთრებული საჭიროებების გათვალისწინებით. • უზრუნველყოფილი იქნას, რომ სარგებლის გაზიარების მექანიზმისა და საჩივრების მექანიზმის შემუშავებისას საკმარისად იყოს გამოყენებული ზომები გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად, ქალთა ჯგუფებთან ან ასოციაციებთან კონსულტაციების, შინამეურნეობათა გენდერული რეაგირებით გამოკითხვის, სხვა დონორებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების გენდერზე ორიენტირებულ მიმდინარე აქტივობებთან ცოდნის გაცვლის და გენდერთან დაკავშირებით გარე ექსპერტების ჩართვის (მაგ., მოკლევადიანი კონსულტანტები ან ტრენერები) გზით. • სარგებლის გაზიარების მექანიზმები და საჩივრების მექანიზმი ხელმისაწვდომია როგორც მამაკაცებისთვის, ასევე ქალებისთვის.	შემუშავებული, ხელშეწყობილი და გამოცდილია ადგილობრივად ხელმისაწვდომი საჩივრების განხილვის მექანიზმი სატყეო სექტორისთვის, ქალთა საჭიროებებზე განსაკუთრებული ყურადღებით. *საწყისი: არ არის* *სამიზნე: არის* სამიზნე მუნიციპალიტეტებში გამოკითხული ქალების 70% აცხადებს, რომ აქვთ ინფორმაცია მექანიზმების შესახებ და შეუძლიათ საჩივრის შეტანა ან სარგებლის გაზიარების მექანიზმში მონაწილეობა. *საწყისი: 0* *სამიზნე: 70%*	
3.3. ტყის მდგრად მართვასთან და კონსერვაციასთან დაკავშირებული პროფესიული უნარები და ცოდნა ხელმისაწვდომია პროფესიული განათლების,	• შეფასდეს ტრენინგის საჭიროებები (მათ შორის გენდერულად სპეციფიკური ტრენინგის საჭიროებები) ტყესთან დაკავშირებულ ღირებულებით ჯაჭვებში (ეკოტურიზმი, ტყის არამერქნული პროდუქტები) ჩართულ ადგილობრივ მეწარმეებში და მოთხოვნა მოკლევადიან კურსებზე.	ჩატარდა ტრენინგის საჭიროებების გენდერულად დიფერენცირებული შეფასება *საწყისი: არ ჩატარებულა* *სამიზნე: ჩატარდა*	<u>პასუხისმგებელი:</u> <u>MoEPA, NFA, EIEC,</u> განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი საქართველოში

[5] საწყისი მაჩვენებელი, რომელიც აკლია მიღებული იქნება პროექტის განხორციელების პირველი წლის ბოლომდე.

და ცოდნის ცენტრებთან საერთაშორისო პარტნიორობის მეშვეობით.	• სასწავლო გეგმების კორექტირებასთან და მოკლევადიანი პროგრამების შემუშავებასთან დაკავშირებული ყველა ინტერვენცია უნდა დაიგეგმოს გენდერულად რეაგირებადი გზით (მაგ. ტყითმოსარგებლე ქალებთან და ქალთა ოთახებთან/კომიტეტებთან/ არასამთავრობო ორგანიზაციებთან კონსულტაციების ჩატარებით კურსების შემუშავებამდე და შემუშავების პროცესში და/ან გენდერის ექსპერტების დაქირავებით, გენდერულად მგრძნობიარე სასწავლო გეგმების შემუშავების ხელშესაწყობად). • პროფესიული განათლების პროფესორებისა და მასწავლებლების შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობა (ტრენერების ტრენინგი), მათ შორის გენდერული თანასწორობისა და სოციალური ინკლუზიის საკითხებში, ტყესთან დაკავშირებული ღირებულებითი ჯაჭვების ტექნიკურ საკითხებთან ერთად.	პროექტის ფარგლებში შემუშავებული სასწავლო გეგმები და პროგრამები გენდერულად მგრძნობიარეა *საწყისი: 0%* *სამიზნე: 70%* პროფესიული სწავლების კოლეჯების რაოდენობა, რომლებიც სთავაზობენ შეცვლილ გენდერულად მგრძნობიარე სასწავლო გეგმებს სატყეო მეურნეობასთან და ტყესთან დაკავშირებულ ღირებულებით ჯაჭვებთან დაკავშირებით. *საწყისი: 0* *სამიზნე: სულ მცირე 3*	<u>რესურსები:</u> GIZ ESS + გენდერის ექსპერტი *დამატებითი გენდერული კონსულტანტები ტრენინგების საჭიროებების შეფასების, სასწავლო გეგმების შემუშავებისა და შესაბამისი ტრენინგების ხელშესაწყობად.*
	• მიზნობრივი კომუნიკაციის განხორციელება, რათა უზრუნველყოფილი იქნას, რომ ქალებს შეეძლოთ მონაწილეობის მიღება შეთავაზებულ კურსებში. პროფესიული განათლების შესახებ ინფორმირებისთვის ადგილობრივ საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის სტრატეგიის შემუშავებისას, უზრუნველყოფილი იქნას თანამშრომლობა ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ქალთა ორგანიზაციებთან და საბჭოებთან.	საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის სტრატეგია მოიცავს თავს გენდერის, და ქალთა ჩართვის სტრატეგიების შესახებ. საწყისი: არ მოიცავს სამიზნე: მოიცავს	

	• მოხდეს პროფესიული განათლების პროგრამებში ქალთა მონაწილეობის გაზრდა, გენდერულად მგრძნობიარე სასწავლო გეგმების და პროგრამების გაძლიერების, გენდერული და სოციალური ინკლუზიის კუთხით მასწავლებელთა შესაძლებლობების გაუმჯობესების და ტყესთან დაკავშირებულ ღირებულებით ჯაჭვებთან დაკავშირებული პროფესიული განათლებისა და უნარების განვითარების შესაძლებლობებზე ქალებთან მიზნობრივი კომუნიკაციის განხორციელების გზით.	პროფესიული სწავლების კოლეჯების ან სხვა ოფიციალური სასწავლო დაწესებულებების მიერ ადგილობრივად შეთავაზებული, ახლად შემუშავებული მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამების მეშვეობით, ტყესთან დაკავშირებულ ღირებულებით ჯაჭვებზე (ეკოტურიზმი, ტყის არამერქნული პროდუქტები და მერქნული პროდუქტები) და მათთან დაკავშირებულ ბიზნეს უნარებზე დატრენინგებული ადგილობრივი ქალი აქტორების რაოდენობა საწყისი: 0 სამიზნე: 72 (ქალების სულ მცირე 30%-ის ექვივალენტი)	
3.4. გაძლიერებულია შერჩეული ღირებულებითი ჯაჭვები (მაგ. მერქნის ღირებულებითი ჯაჭვი, ტყის არამერქნული პროდუქტების ღირებულებითი ჯაჭვი ან ეკოტურიზმის ღირებულებითი ჯაჭვის ნაწილები)	• ღირებულებითი ჯაჭვების გაძლიერებისას გამოყენებული იქნას სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და დონორული პროექტების არსებული გამოცდილება გენდერულ გაძლიერებაში. ეს შეიძლება იყოს ღირებულებითი ჯაჭვები, სადაც ქალები უკვე არიან წარმოდგენილი, როგორიცაა ტყის არამერქნული პროდუქტების კომერციალიზაცია ან ვიზიტორების მომსახურება, მაგრამ ასევე სხვა ღირებულებით ჯაჭვები, როგორიცაა მერქნის ღირებულებითი ჯაჭვები და ეკოტურიზმი. • მოხდეს ქალთა ჯგუფების (მაგ. კოოპერატივები ან ქალთა საბჭოები) შექმნის ხელშეწყობა და თანამშრომლობა უკვე არსებულ ინიციატივებთან. • შერჩეული ტყესთან დაკავშირებული ღირებულებითი ჯაჭვებისთვის ქალთა ბიზნესის	ღირებულებით ჯაჭვებში გენდერის შესახებ ჩატარებული ცოდნის გაცვლის აქტივობების რაოდენობა. საწყისი: 0 სამიზნე: 3 არსებულ მუნიციპალურ ქალთა ოთახებთან ან ახლადშექმნილ ქალთა საბჭოებთან თანამშრომლობით	<u>პასუხისმგებელი:</u> <u>MoEPA, NFA,</u> სოფლის განვითარების სააგენტო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარებისსამინისტრო <u>რესურსები:</u> GIZ ESS + გენდერის ექსპერტი

განვითარების შესაძლებლობებისა და პროფესიული და ტექნიკური უნარების გაძლიერება. ეს უნდა მოიცავდეს ბიზნეს გეგმის შემუშავების ან გაუმჯობესების ხელშეწყობას და კონსულტაციის გაწევას შერჩეულ ღირებულებით ჯაჭვებში ადგილობრივი მეწარმე ქალებისა და ქალების ხელმძღვანელობით მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ფინანსურ მომსახურებებზე წვდომის გაუმჯობესებისთვის.	ჩატარებული პროექტის აქტივობების რაოდენობა (მაგ. სამუშაო შეხვედრები, ტრენინგები, ცნობიერების ამაღლება). *საწყისი: 0* *სამიზნე: 3*
• ქალებისა და სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის გაწეული უნდა იქნას მიზნობრივი მხარდაჭერა, პოტენციური დამატებითი გამოწვევების დაძლევაში დასახმარებლად (მაგ. დროის სიღარიბე, მიწის ან რესურსების შეზღუდული ფორმალური კონტროლი, რამაც შეიძლება შეზღუდოს კრედიტზე ხელმისაწვდომობა). შესაბამისი ღონისძიებები უნდა შემუშავდეს შესაბამისი ღირებულებითი ჯაჭვისთვის.	ადგილობრივი მეწარმეებისა და მცირე და საშუალო ბიზნესის მიერ ტყესთან დაკავშირებული ღირებულებითი ჯაჭვებისთვის (ტყის არამერქნული პროდუქტები, ეკოტურიზმი, მერქნული პროდუქტები) შემუშავებული ახალი ან გაუმჯობესებული ბიზნეს გეგმების რაოდენობა. საწყისი: 0 სამიზნე: 32 (სულ მცირე 30% ქალების ხელმძღვანელობით)
• ტყის არამერქნული პროდუქტების ღირებულებითი ჯაჭვის განვითარების კონტექსტში, უზრუნველყოფილი უნდა იქნას იმ ღირებულების ჯაჭვების შეტანა, რომლებშიც ქალები ასრულებენ აქტიურ როლს. რეკომენდირებულია, რომ ტყის არამერქნული პროდუქტების სულ მცირე ერთ შერჩეულ ღირებულებით ჯაჭვს თითოეულ რეგიონში ჰქონდეს მნიშვნელოვანი გენდერული სარგებელი. ღირებულებითი ჯაჭვის შეფასებები უნდა მოიცავდეს გენდერულად მგრძნობიარე ანალიზს და უნდა შემოწმდეს ESS და გენდერის ექსპერტის და/ან გენდერის გარე სპეციალისტების მიერ.	იმ ადგილობრივი კერძო მეწარმე ქალების ან ქალების ხელმძღვანელობით მცირე და საშუალო ბიზნესების %, რომლებსაც გაუმჯობესებული წვდომა აქვთ ფორმალურ ფინანსურ პროდუქტებსა და მომსახურებებზე ტყესთან დაკავშირებული ღირებულებითი ჯაჭვებისთვის (ტყის არამერქნული პროდუქტები, ეკოტურიზმი, მერქნული პროდუქტები)

		საწყისი: 0[6] სამიზნე: სულ მცირე 30%-იანი ზრდა	
ზოგადი: შემსრულებელი ორგანიზაციების გენდერული მგრძნობელობა			
შემსრულებელი ორგანიზაციების გენდერული მგრძნობელობა [cross-cutting]	• შემსრულებელი ორგანიზაციების პერსონალისმომზადება გენდერული მეინსტრიმინგის მიმართულებით. • გენდერთან დაკავშირებული საკითხების გათვალისწინების უზრუნველყოფა პროექტის დაგეგმვის, განხორციელებისა და მონიტორინგის ყველა დონეზე. • გენდერულად ჩაშლილი მონაცემების შეგროვებისუზრუნველყოფა.	ჩატარდა გენდერული მეინსტრიმინგისა და მონიტორინგის ტრენინგი GIZ- ის და პროექტის განმახორციელებელი განყოფილების ყველა თანამშრომლისთვის (წარმომადგენლები MoEPA-დან, NFA, DES, EIEC, RDA, MoESD და GIZ-დან) საწყისი: 0 სამიზნე: 1 (მე-2 კვარტალი, 1- ლი წელი)	<u>პასუხისმგებელი</u>: GIZ <u>რესურსები:</u> GIZ ESS+გენდერის ექსპერტი

[6] საწყისი მაჩვენებელი მიღებული იქნება პროექტის განხორციელების პირველი წლის ბოლომდე.